საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იბნ აბდ ალ-ზაჰირი

იბნ აბდ ალ-ზაჰირი (1223, კაირო, – 1292, იქვე), არაბი ისტორიკოსი. ცხოვრობდა ეგვიპტეში მამლუქი სულთნების ბეიბარსის, კალავუნის და ხალილის დროს, იყო მათი პირადი მდივანი.

ეკუთვნის რამდენიმე ისტ. თხზულება, მ. შ. ავტორია ერთი დღიურისა, რ-შიც აღწერა ბეიბარსის ლაშქრობა მცირე აზიაში 1277 და ეპისტოლეს სახით გაუგზავნა ეგვიპტის ვეზირს. ეს დღიური სრული სახით შემოგვინახა ალ-კალკაშანდიმ. მასში სხვა ამბებთან ერთად მოთხრობილია ბეიბარსის საზეიმო შესვლა რუმის სასულთნოს სატახტო ქალაქ კაისარიაში, სადაც მედრესეები, ხანაგები და რიბატები მოფენილი იყო ქართული ნოხებით.

ლიტ.: ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ქართული ნოხების ექსპორტის შესახებ XII საუკუნეში, კრ.: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბ., 1991.

გ. ჯაფარიძე